საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილების შესრულების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-213/ო ბრძანებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრა

ქ. თბილისი 2020 წლის 16 ივლისი

ოქმი №11

სხდომის ჩატარების ადგილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო)

სხდომას უძღვებოდა: თამილა ბარკალაია

ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: გ. კაკაურიძე; ლ. დგებუაძე; ნ. ჩანადირი; თ. კალანდაძე; დ. მეტრეველი; ე. მიქაბაძე; ზ. სანიკიძე; გ. ჭავჭავაძე; გ. ჩიღოშვილი

სამუშაო ჯგუფის სამდივნო: ნ. ველთაური

კომისიის სამდივნო: ლ. კლიმიაშვილი; თ. გვარამაძე

კომისიის შეხვედრის მიზანი - „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში პროგრამა) საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

განსახილველი საკითხი - პორტალზე დარეგისტრირებულ პირთა განაცხადებების განხილვა 170 447 დან – 204 592 -ს ჩათვლით. სამუშაო ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსების (დადებითი, უარყოფითი და განსახილველი) მიხედვით.

34 143 რეგისტრირებული პირი ჩაიშალა შემდეგი სტატუსებით, ესენია:

1. არაკომისიური 603 (დანართი 1)
2. **კომისიური - 33 540 (დანართი 2)**
   2.1 უარყოფითი - 102
   2.2 დადებითი - 197
   2.3 დასაზუსტებელი - 2 761
   2.4 აქტიური (საზღვრის კვეთა) – 30 480

- დადგენილებაში ცვლილების შეტანის შემდგომ დასაზუსტებელი საკითხები.

განმეორებითი - 1,2,3 კომისის დასაზუსტებელი 7 687

- დადებითი - 2 377
- უარყოფითი -2 431
- დასაზუსტებელი - 2 879

მომხსენებელი, ნინო ველთაური - კომისიის სხდომა გახსნა ნ. ველთაურმა.

პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პორტალზე დარეგისტრირებულ პირთა განაცხადებების თაობაზე მომხსენებელმა კომისიას აცნობა, რომ წარმოდგენილი **34 143** განაცხადიდან პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, **197** განცხადებას მიენიჭა „დადებითი" სტატუსი, ვინაიდან მაძიებლებს დოკუმენტაცია სწორად ჰქონდათ ატვირთული და აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას. 102 განმცხადებელს, რომელთაც არ ჰქონდათ იურიდიული პირისგან გაცემული ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი -მიენიჭა „უარყოფითი" სტატუსი. სტატუსები განისაზღვრა დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და გასულ კომისიაზე განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

კომისიას ეცნობა, რომ აქტიური (საზღვრის კვეთა) სტატუსით წარმოდგენილი 30 480 პირი უახლოეს პერიოდში გადამოწმდებაპროგრამის ფარგლებში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად და ვისი მონაცემების მოერგება დადგენილ პირობებს გადაერიცხებათ შესაბამისი კომპენსაცია.

მომხსენებლმა კომისიას აცნობა, რომ 7 687 პირიდან (პირველ, მე-2 და მე-3 სხდომაზე მინიჭებული დასაზუსტებელი სტატუსის მქონე პირები), რომლებმაც უზრუნველყვეს პროგრამის და შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, დადებითი სტატუსი მიენიჭა 2 377 პირს, უარყოფითი 2 431 და დასაზუსტებელში რჩება 2 879 პირი, რომლებსაც ასევე აქვთ საშუალება მ/წლის 1 აგვისტომდე განაახლონ/დააზუსტონ ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

კომისია ერთხმად დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის მიერ განაცხადებზე მინიჭებულ სტატუსებს. დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დაევალა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში „დადებითი“ სტატუსის მქონე პირებისთვის კომპენსაციის ჩარიცხვის უზრუნველყოფა.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა სტატისტიკური ინფორმაცია იმ 300 ლარიანი კომპენსაციის მიმღებ პირებზე, რომლებმაც პროგრამაში ცვლილების შეტანის შემდგომ გადაინაცვლეს 200 ლარიანი კომპენსაციის მიმღებ პირებად.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და შედგა შეთანხმება, რომ ყველას ვისაც ეკუთვნის მაისის თვის 200 ლარიანი კომპენსაცია დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნეს დროულად. ასევე განიმარტა, რომ პირს, რომელსაც უკვე აქვს მიღებული 300 ლარიანი კომპესაცია, მათი გადანაცვლება და 200 ლარიანი კომპესაციით დაკმაყოფილება უზრუნველყოფილ იქნას ე.წ. ჩათვლის მეთოდით.

რაც შეეხება აპრილის თვის 200 ლარიან კომპენსაციებს , შემოსავლების სამსახურს დაევალა მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებსაც დადგენილებაში ცვლილების (16 ივნისის ცვლილება N286 დადგენილებაში) შესაბამისად აპრილის თვეშიც ეკუთვნოდათ 200 ლარიანი კომპენსაცია. ინფორმაციის წარმოდგენის შემდგომ კომისია იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მათ შესახებ.

დავალების შესაბამისად, მომხსენებელმა კომისიას აცნობა, რომ განაცხადების განხილვის პერიოდში, არ გამოკვეთილა დამატებით დასაზუსტებელი შემთხვევები შრომით ვიზასა და საზღვრის კვეთის 6 თვიან დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

კომისიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შეჩერებულ იქნეს მსგავსი განაცხადების კომისიაზე განხილვა, სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელოს მხოლოდ პროგრამაში გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე თამილა ბარკალაია

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კაკაურიძე

კომისიის წევრი	დავით მეტრეველი
კომისიის წევრი	თენგიზ კალანდაძე
კომისიის წევრი	ეკატერინე მიქაბაძე
კომისიის წევრი	ზურაბ სანიკიძე
კომისიის წევრი	ლევან დგებუაძე
კომისიის წევრი	ნიკოლოზ ჩანადირი
კომისიის წევრი	გიორგი ჭავჭავაძე
კომისიის წევრი	გელა ჩიღოშვილი
სამუშაო ჯგუფის სამდივნო	ნინო ველთაური
კომისიის მდივანი	ლიკა კლიმიაშვილი
კომისიის მდივანი	თეა გვარამაძე